№ 57 მარტი 16, პარასკევი 1890 მარტი 16, პარასკევი № 57

ეროვნული ბიბლიოთეკა


გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 9 | 75 | 4 . . . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ქუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890


კნეინა ლიუბოვ პეტრე ბაზილევსკის ასული, კნეინა ქეთევან დიმიტრის ასული და თავადი კონსტანტინე დიმიტრის-ძე ერისთავები აუწყებენ ნაცნობთა და ნათესავთ, რომ შაბათს, 17 მარტს, დილის ათს საათზედ დიდუბის ეკკლესიაში გადახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი მიცვალებულის თ. ელიზბარ დიმიტრის ძის ერისთავის მოსახსენებლად. 2—2

## ივერია

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაწკვდრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ტფილისი, 15 მარტი

ქ. ტფილისში, ახალციხესა, გორსა და დაბა კოჯორში შემოღებულია საქალაქო დებულება 1870 წლისა. თელავში, სიღნაღში, დუშეთს და ახალ-ქალაქში-კი შემოსავალ-გასავალსა და მეურნეობას განაგებს პოლიცია მკვიდრთაგან ამორჩეულ დეპუტატების დახმარებით.

1888 წელს ქ. ტფილისს ჰქონდა ნამდვილი შემოსავალი 705,852 მ. 66 კ. ამაში ჩვეულებრივი იყო 506,975 მ. 92 კ. და არა ჩვეულებრივი 198,876 მ. 74 კ. დაუხარჯავს-კი ქალაქს იმავე წელს 692,691 მ. 84 კ.

ქ. ახალციხეს შემოსვლია 1888 წელს 32,075 მ. 95 კ., წინა წელზედ უფრო მეტი 15,367 მ. 4 კაპეიკით. შემოსავლის მომატება იმას მიეწერება, რომ ქალაქს მიეცა დახმარება სათემო თანხიდამ 14,600 მ., რომელიც ერგებოდა ახალციხეს, რადგან იგი იხდიდა თავის საკუთარის ფულიდგან იქ მყოფ ჯარებისთვის ბინის დასაქირავებელ ხარჯს. მეორე მიზეზი ქალაქის შემოსავლის მომატებისა ის არის, რომ ძველი ნედოიმკა და დასაფასებელი გადასახადი უფრო რიგიანად აუკრებიათ. იმავე წელს ახალციხეს დაუხარჯავს 31,130 მ. გასავალი ქალაქს მომატებია უფრო იმისთვის, რომ საფუძვლიანი შეკეთება დასჭირებია ხიდს მდინარე ფოცხოვზედ. ქალაქსა აქვს ვალი 69,472 მ.

ქ. გორს ნამდვილად შემოსვლია 19,304 მ., თუმცა-კი მოელოდნენ, რომ შემოსავალი აიწევს 25,806 მ. სულ დახარჯულა იმავე წელს 18,994 მ.

ზემოთ მოყვანილ ხარჯთ-აღრიცხვაში ჩათვლილია ის ფულიც, რომელიც გორს აუღია მკვიდრთაგან ძველი ხარჯი, ანუ "ნედოიმკა". ეს ამოუღებელი ნედოიმკა უდრის 38,741 მანეთს. მოსალოდნელ ხარჯის რაოდენობა უდრის 62,919 მანეთს.

ქ. სიღნაღს საანგარიშო წელს შემოსვლია სულ 6,530 მ. ამას გარდა ქალაქს ჰქონია წინანდელ წლების გადარჩენილი ფული 2,087 მ. დახარჯულა-კი სულ 8,251 მანეთი. ქალაქის „ნედოიმკის“ რაოდენობა უდრის 27,698 მ. დარჩენილა თავისუფალი თანხა წინა წლებისაგან სულ 366 მ.

იმავე წელს ქ. დუშეთს შემოსვლია 3,597 მან., დაუხარჯავს 2,900 მან.

ქ. ახალ-ქალაქს შემოსვლია 4,330 მ. დახარჯულა-კი 5,711 მ. „ნედოიმკად“ დარჩენილა 1304 მ. თავისუფალი თანხა ახალქალაქისა უდრის 485 მ.

ქ. თელავს შემოსვლია 5257 მ. გადარჩენია წინანდელ წლების ხარჯს 4832 მ. საანგარიშო წელს თელავს დაუხარჯავს 6984 მ. თავისუფალი თანხა უდრის 3,097 მ.

ზემომოყვანილ ხარჯთ-აღრიცხვიდგან მკითხველი დაინახავს, რა უნუგეშო მდგომარეობაშია ჩვენი (ტფილისს გარდა) ტფილისის გუბერნიის ქალაქების შემოსავალ-გასავალი. რა საკვირველია, ამის შემდეგ, რომ ყველა ჩვენს ქალაქებს ქუჩები უსუფთაოდ და ბინძურად ჰქონდეს, ფარნები არსად მოეძებნებოდეს, საქველ-მოქმედო საქმეს ვერ მისდევდეს და თითო რიგიანს სასწავლებელსაც-კი ვერ ინახავდეს. როდესაც ქალაქს სულ ორი-სამი ათასი მანეთი შემოსდის წელიწადში, ამ ფულით რა ხეირიანი და სათვალ-საჩინო საქმე უნდა დაიწყოს? ისიც, რაც ჩვენს ქალაქებს შემოსდის, სავალდებულო ხარჯს უნდება, პოლიციის ბოქაულების ჯამაგირს, საპატიმროსათვის სახლის დაქირავებას და სხვას, რაიცა კანონით ვალად ადევს ყოველ ქალაქს. უმთავრესი მიზეზი ჩვენის ქალაქების ამ გვარ უნუგეშო საფინანსო მდგომარეობისა ის არის, რომ ნასახიც არ მოიძებნება არც მრეწველობისა და არც ვაჭრობა-აღებ-მიცემობისა. ჩვენს გაზეთში იყო რამდენჯერმე მოხსენებული, რომ ტფილისის საგუბერნიო მმართველობამ მიაქცია ყურადღება ჩვენის ქალაქების სამწუხარო მდგომარეობას და რამდენჯერმე კიდეც იშუამდგომლა უმაღლეს მთავრობასთან, რომ ქალაქები განთავისუფლებულნი იყვნენ პოლიციის შესანახ ხარჯისაგან და ეპატიოთ უშველებელი „ნედოიმკა“, რადგან არავითარი სახსარი არ არის, რომ ეგ „ნედოიმკები“ უნაკლულოდ აიკრიფოს მკვიდრთა სიღარიბის გამო. შეწყნარებულ იქმნება ამ გვარი შუამდგომლობა, თუ არა, არ ვიცით.

## ახალი ამბავი

*** 13 მარტს ბარიათინსკის ქუჩაზე, ალექსანდრეს ბაღისა და საპოროის ქუჩის გამოსავალის პირდაპირ, დაეჯახა გოლოვინის პროსპექტიდგან მომავალი ეტლი ორ თათარს. ერთმა გადმოასწრო როგორც იყო, მაგრამ მეორე-კი ქვეშ მოჰყვა და საბრალოს ხალხით სავსე ეტლმა ზედ გულ-მუცელზე გადაუარა. ეტლი უფარნო იყო და ნომერი ვერავინ შენიშნა. გარდა ამისა ღამის რვა საათი იყო და ვერარავინ დაიჭირა მეეტლე. ერთი პატარა იმერლის ბიჭი გამოეკიდა, მაგრამ სირბილმა ამაოდ ჩაუარა. თათრები სოფლელები იყვნენ. საბრალო ეტლ-გადაველილი თათარი მთელი ნახევარ საათი ხმა-გაკმენდილი იწვა ქუჩას პირად. ერთი აფიცერი და რამდენიმე ქალი შემოეხვივნენ გარეშემო და დაიწყეს წივილ-კივილი, რომ საწყალი კვდება და უშველეთ რამეო. იქვე მდგომარე პოლიციელმა სრულებით თავს არ შეიდო და გულ-ცივად დაჰყურებდა თითქმის სიკვდილის პირად მივარდნილ კაცს. დიდის ყვირილისა და ჯავრობის შემდეგ ძლივს შეადებინა თავი აფიცერმა პოლიციელს, მოაყვანინა ეტლი და საავადმყოფოში გააგზავნინა.

*** ამ ჟამად სამწიგნობრო საქმისა და ბეჭდვის სახელოსნო და მაღაზიები არსებობს ტფილისში: სტამბა 15, ლიტოგრაფია 20, სტამბა-ლიტოგრაფია 4; წიგნების სავაჭრო მაღაზია და დუქანი 40, ნოტების მაღაზია 4, წიგნთ-საცავი 7, ფოტოგრაფია 11 და საფოტოგრაფიო სურათების გასასყიდი ადგილიც ამდენივე.

*** ხევი: ჩვენ, მოხევენიც, დიდად შეგვაწუხა ჩვენის ისტორიკოსის დ. ბაქრაძის გარდაცვალებამ. სამგან იქმნა ხევში გარდახდილი მის მოსახსენებლად პანაშვიდი, სხვათა შორის მარტის 10 წირვის შემდეგ გადაიხადა პანაშვიდი სიონის ეკკლესიაში მღვდელმა ზ. კობაიძემ და წარმოსთქვა სიტყვა. ამ სიტყვით მღვდელმა მოკლედ გააცნო თავის მრევლს ცხოვრება და მოღვაწეობა განსვენებულის დიმიტრისა.

*** ახალ-ბაიაზეთი. ჩვენშიაც დიდად შეაწუხა აქაური ქართველობა დიმ. ბაქრაძის გარდაცვალების ამბავმა და პანაშვიდი გადავიხადეთ განსვენებულის სულის მოსახსენებლადაო.

*** კიევი: კიევის ქართველი სტუდენტობა გვწერს, რომ პანაშვიდი გადავიხადეთ განსვენებულის სულის მოსახსენებლად ლავრაში აფხაზეთ-იმერეთის კათოლიკოს მაქსიმეს საფლავზეო. თავის დროზე სამძიმრის დე-

## ფელეტონი

### ჩემს ძალლს

მიყეფე, ჩემო ერთგულო,
გულზე ცეცხლს მინდა მოდება;
გვეყო დიაცებრ ცრემლის ღვრა,
გვეყო ამდენი გოდება!
შენა ხარ ჩემი ფარ-ხმალი,
სიცოცხლე, თვალის ჩინია;
ბოროტის ხალხის „ხორველა“
დანაგრულების ლხინია;
მიყვარს ეგ შენი დაგლავი
და გესლიანი ღრინია.
აყეფდი, რაღას წკმუტუნებ?
პირით წაყარე დორბლები!
ეგება მგლები შემოფრთხნენ,
დაგვიშოშმინდნენ ობლები;
ეგება შეკრთნენ წყეულნი
ბოროტებისა მშობლები;
ეგები მიწამ შეჭამოს
ქვეყნის ერთგულთა მგმობლები!

ვაჟა-ფშაველა

### ხიდია ნატეხილი

მოთხრობა

XI*)

ლათო აბუზული იდგა. დედაკაცი მაია, რომელიც საოჯახო საქმეების გასაძღოლად იყო მოჯამაგირედ, მოუთმენლად შედიოდ-გადიოდა სასტუმრო ოთახში, რომ შეეტყო ნიკოს ხომ არ გამოუღვიძნია, და რაკი საწოლ ოთახიდგან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა, ბუტბუტით უკანვე ბრუნდებოდა. მარტო ეს ორნი არ უცდიდნენ ნიკოს გაღვიძებას. გიგლასაც მომზადებული ჰქონდა პირსაბანი ტასტი და წყალი; იმასაც მალე უნდოდა მოეშორებინა ეს ერთად-ერთი თავისი სამსახური და დასთხოვებოდა ბატონს. იმას კიდევ სხვა რამეც აწუხებდა: ახალი ჩოხა უნდოდა და ბატონისათვის თქმა ვერ გაებედნა.

სოსემ სამალულოდ შემოიყვანა ის ბატონის სახლში და თითონაც ჰგრძნობდა, რომ ტყუილად სჭამდა პურს; უფრო მეტს აფუჭებდა სახლში, ვიდრე აკეთებდა; გასატეხ რასმეზე არ შეიძლებოდა იმისი მიკარება, იმეთი ხელმანკიანი იყო. ამას გარდა ხელის კანკალი ჰქონდა დაჩემებული. არც სხვა საქმეზე შეიძლებოდა მისი დასაქმება, რადგანაც საშინელი გულ-მავიწყი იყო. ამასთანავე ბავშვის ლონე ჰქონდა. ერთი კარგი თვისება-კი სჭირდა: თავის თავს სუფთად ინახავდა, თორემ, ესეც რომ არა ყოფილიყო, პირის დასაბანადაც არ მიუშვებდნენ ბატონთან.

გიგლას ლექსების გამოთქმაც უყვარდა და გოგოებში ყოფნა და მათთან ქალაჩუნობა მისი ხელობა იყო. გოგოები მუდამ მასხარად იგდებდნენ, თავში ურაკუნებდნენ, მაგრამ ის მაინც იმათ არა შორდებოდა.

კვირაძალზე და კვირა დღეს იმათი მომლხენი გიგლა იყო. გიგლას ბიჭები ეჯავრებოდა... და მხოლოდ სოფლის გოგოებში ამოსდიოდა სული. გიგლა ჰგრძნობდა ყოველსავე ამას და ამიტომაც ეშინოდა ნიკოსთვის სახოზე ფული ეთხოვა. „ბატონი კარგის გულისა არისო“, ჰფიქრობდა გიგლა: მომცემსო, მაგრამ ვაი თუ მერე დამითხოვოსო“. ამ ნაირ ბრძოლაში იყო, როდესაც ნიკომ დაუძახა.

— ბიჭო და შენ-კი არ გინდა დღეობაში წასვლა?—ჰკითხა მან მხიარულად.

— დიაღ, თუ თქვენი ნებაც იქნება, უპასუხა გიგლამ.

— წადი, მე თითონაც დავიბან პირსა, დაგიგვიანდება.

— ჯერ მაინც ადრე გახლავთ, აქედან არც-კი არავინ წასულა.

ნიკომ პირის ბანა დაიწყო. უკანასკნელად შეისხა პირზედ წყალი და პირსახოცისთვის ხელი გაუწოდა.

— რა უყავ, ბიჭო, პირსახოცი?

გიგლას პირსახოცი დავიწყებოდა და იმ დროს, როცა სწრაფად უნდა მოტრიალებულიყო პირსახოცის მისატანად, ფეხი გაუსხლტა და დაეცა. ნიკომ სიცილი ვერ შეიმაგრა და როდესაც მისაშველებლად მიუახლოვდა, გიგლა, უკვე ცალ-ფეხზე წამომდგარი, გასაქცევად იყო მომზადებული, მაგრამ საუბედუროდ თუ საბედნიეროდ დასველებულ იატაკზე ხელ-მეორედ წაუსხლტა ფეხი, სკამი წააქცია და სავსე ტასტი ზედ გულზე დაემხო.

გიგლა იმ დროს შესაცოდავიც იყო და სასაცილოც. ნიკომ ზურგი შეაქცია, რომ სიცილი არ დაენახვებინა, მაგრამ ამ ბრახა-ბრუხზე მაია და ლათო შემოვიდნენ და, რა დაინახეს გაწუწული გიგლა, თავ დაჭერილის სიცილით იხოცებოდნენ.

ჯერ ტასტი არ დაქცეულიყო, რომ გიგლამ საცოდავად შეპბლავლა ნიკოს: „ნუ შემრისხავთ, შენი ჭირიმეო“. ნიკოს იმ წამსვე უნდოდა დაემშვიდებინა, მაგრამ სიცილით ხმას ვერ იღებდა.

გიგლა აბუზული, დაღვრემილი შესცქეროდა ნიკოს, რომელიც ჯერ კიდევ ზურგ-შექცეული იცინოდა. ბო-

*) იხ. „ივერია“ № 45, 46, 48, 49, 51, 52, 54, 55 და 56.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეშაც გაეუგზავნეთ მიცვალებულის სახლობასაო.

*** სოფ. საგარეჯოდგან: ერთს არა-სასიამოვნო ამბავს გვწერენ. იქაურ პურის მაღაზიიდგან მოუპარავთ სასოფლო პური 100 კოდამდე. ამ საქმის გამო სამაზრო პოლიციამ უკვე მოახდინა ჯეროვანი გამოძიება და საქმე გადასცა ტფილისის მაზრის გამომძიებელს. რას აღმოაჩენს სასამართლოს გამომძიებელი, ჯერ არავინ იცის. სოფელი დიდად არის შეწუხებული, რომ მისი ვაი ვაგლახით შეკრეფილი შავის დღისთვის პური ვიღაც ბოროტ-მოქმედმა კაცმა ასე გამოსწირა სოფელს.

*** ბაქო: ბაქოში ყვავილი მძინვარებს. რკინის გზაზე მოსამსახურეთაც ეწვია ყვავილი. ჯერ-ჯერობით პატარა ბავშვებისათვის არ მიუყვია ხელი და უფრო მოზრდილებიდგან დაიწყო. ყვავილით ავადმყოფთ რკინის გზის სადგურის სამკურნალოში აწვევენ განცალკევებულს ოთახში. უეჭველია, აუარებელ მოსამსახურეთა შვილებს დაუვლის ყვავილი, თუ წინადვე არ გაფრთხილდნენ მკურნალნი. ერთი 5 მარტს მომწიფებულ ყვავილ დაყრილი ავადმყოფი სახლიდგან სამკურნალოში გადაიყვანეს. ცივი ჰაერი სიცხეში გავარვარებულს, მერე ყვავილის სიცხეში, სიკვდილს არ დააცდის. მცირე გაციება კმარა, რომ ავადმყოფი გამოესალმოს წუთი-სოფელს.

*** ხევი: ხევში 900 კომლამდე მცხოვრებია, მარტო ქართველობა, და დღევანდლამდის არა აქვსთ არც ერთი სასოფლო და სამრევლო სკოლა. ამისი უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ მოხევენი სწავლა-განათლებისათვის დღემდე სრულებით არა ზრუნავდნენ. ვისაც ვაჟიშვილი ჰყავდის, ის მარტო იმას ჰფიქრობდის, რომ იმისი შვილი 10 წლისა მალე გამხდარიყო. გახდებოდა თუ არა 10 წლისა, მშობელი იმას მაშინათვე ნახირს დაუყენებდის, ან ცხვრებს აადევნის, ან ღორებს დაუყენის და ან ქვის კუჭკას (ჯეხას, მტვრევას) მიუსვენის. საკვირველი მით უფროა ეს გარემოება, რომ მოხევენი ცოტად თუ ბევრად შეგნებულნი არიან, კარგად გამოცდილნი, ასე რომ ჩემის აზრით საქართველოს მდაბიო ხალხში არც ერთს საქართველოს კუთხეში მცხოვრებთ არ ჩამოურჩებიან. დღეს, როცა შემოვიდა ჯარის-კაცობა, როგორც ეტყობა, ხალხში სკოლის დაარსების სიყვარული იღვიძებს. უბედურება ეს არის მხოლოდ, რომ ამისთანა საქმის გაკეთებას მოთავე კაცი უნდა. დღეს ამისთანა კაცი მოხევეებს არა გვყავს. თუმცა გვყავნდა მარტო ერთად ერთი კაცი, სახელდობრ გ. ნ. ყ—გი, მაგრამ ეს ერთად-ერთი ჩვენი იმედი დღეს ჩვენ შორის აღარ არის. კარგად ეხსომებათ გაზეთ. „დროების“ მკითხველთ, რომ 1880—1881 წლებში ეს კაცი ბევრს ეცადა, რომ ხევისთვის სტეფან-წმინდაში ორ-კლასიანი სკოლა დაარსებულიყო. სკოლისთვის უფასოდ დაუთმო შეგირდებს თავისი საკუთარი სახლები და სწავლებითაც თითონ თავისის ხარჯით ასწავლიდა, სანამ ხალხი მასწავლებლის დაქირავების თავდარიგს ჰნახავდა და უფრო უკეთესად მოეწყობოდა სკოლის საქმე. ამ რიგად მთელის ზამთრის განმავლობაში სხვათა შორის მოწაფეებს სკოლის შენობის გასათბობად შეშასაც თავის ხარჯით უზიდვინებდა ბალთიდგან, მაგრამ ხევის ხალხი იმ დროს იმ აზრისა იყო, რომ ხვალინდელს ქათამს დღევანდელი კვერცხი მირჩევნიაო, და ამიტომ, გაზაფხულდა თუ არა, ყველა ხსენებულს სკოლაში მოსწავლენი მშობლებმა სკოლიდამ გაიყვანეს და მიუჩინეს თითოეულად იმ ხელობას, რომელიც ვის მოსწონდა: ზოგმა თავისი შვილი მენახირედ დააყენა, ზოგმა მწყემსად, ზოგმა მეღორედ და ზოგმაც ქვის კუჭკას მოუსვინა და ის ამტვრევინა! რადგანაც იმ დროს დაარსებულს სკოლაში 20-მდე მოწაფე სწავლობდა, ამიტომ დღესაც იმ სკოლაში ნასწავლს რომ შეხვდეთ და საცდელად დააწერინოთ რამე ქართულად, ისეთს მშვენიერს ხელზე დასწერს, რომ მოგეწონებათ. თუ არა ვსცდები, „სალდათობის“ შემოღების გარდა ხალხში სკოლის დაარსების სურვილი უფრო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოების მიერ კავკავში ორ-კლასიან ქართულის სკოლის დაარსებამ გააღვიძა. ზოგიერთებმა იქ მიაბარეს თავიანთი შვილები და უნდა მოგახსენოთ, რომ მოსაწონადაც სწავლობენ, რის გამოც, როგორც კავკავში მცხოვრებ ქართველებისაგან, ისე ჩვენ დანარჩენებისაგანაც მადლობისა და თანაგრძნობის ღირსნი არიან თავმდებელნი და დამაარსებელნი იმ სკოლისანი. ერთად-ერთი ნაკლულევანება ამ სკოლისა ის არის, რომ სამ-კლასიანი არ არის სკოლა, არამედ ორ-კლასიანია. მესამე კლასსაც რომ მიუმატებდნენ, მაშინ საწყალის კაცის შვილი იმდენს ისწავლიდა, რომ ცოტად მაინც გამოეყენებინა ცხოვრებაში თავისი სწავლა. იმედია, რომ ეს სურვილიც შეასრულონ ამ სკოლის მხნე მოთავეებმა.

*** პოლიციის მერვე ნაწილში, მარტის 14, გორის მაზრის სოფ. კეხვის მცხოვრებელმა ნიკოლოზ ზანგალაძემ ჩილინკდარის მაღაზიიდგან მოიპარა 38 მან. და 50 კაპ. ღირებული სახილანდრო იარაღ, მაგრამ პოლიციელმა მოასწრო, შეიპყრო ნაქურდალითურთ და სასამართლოს გადასცა.

*** ამავე დღეს სიმონთვის ქუჩაზე სიღნაღის მცხოვრებლის არტემ სოლომონის ძის მელვინოვის დაუკეტავის სადგურიდგან, შერჩეულის გასაღებით, მოიპარეს ორი ნაბადი, ყაბალახი, ორი შარვალი, ჩოხა და სხვა-და-სხვა სარეცხი, სულ 75 მანათისა. გამოძიება საქმისა გადაეცა მომრიგებელ-სასამართლოს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

დ. ხონი, 10 მარტი. მთელს დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება ისეთი ბუნებით მშვენიერი ქვეყანა, როგორიც არის ჩვენი საქართველოო, ამბობს ჩვენი ხალხი და ამასთანავე დარწმუნებულია, რომ იმისი შინაური მდგომარეობაც რიგიანად არის მოწყობილი, მაგრამ დიდად სცდება. მუშტრის თვალით რომ შევხედოთ და დავაკვირდეთ საქმეს, სულ სხვას დავინახავთ. მართალია, ჩვენი ქვეყანა, განსაკუთრებით იმერეთი, ბუნებით მდიდარია, ლამაზია, უხვია მოსავლით და სხვ., მაგრამ თვითერი, მკვიდრნი-კი ძალიან ღარიბად სცხოვრობენ, ძალიან დაქვეითებულნი არიან შეძლებითაცა და სწავლა-ცოდნითაც.

გული დაგწყდება, რომ დაუკვირდე ჩვენს ხალხს, რომელიც სულითა და ხორცით დაუძლურებულა და გაკვირვებით შეჰყურებს, რა ნაირს სასოცარს მხნეობასა და გამჭრიახობას იჩენენ აქ ჩამოსული უცხოელები ბუნების დასამორჩილებლად. ჩვენს ხალხს არ შეუძლიან გამოიყენოს ბუნების სიუხვე, არა აქვს ღონისძიება და საშუალებანი, რომ შეებრძოლოს მძლავრს ბუნებას და ამ ბრძოლიდგან გამარჯვებული გამოვიდეს. ყველგან ვგრძნობთ, რომ მეტად და მეტად გვაკლია საზოგადო განათლება და სამეურნეო სწავლა-ცოდნაც. მართალია, ჩვენში საკმაოდ არის გავრცელებული საერო სკოლები, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზის გამო ამ სკოლებს არ შეუძლიანთ ჯეროვანი სამსახური გაუწიონ ქვეყანას. ჩვენის ერის კეთილდღეობისათვის უპირატეს ყოვლისა საჭიროა იმისთანა ცოდნის მოპოვება, რომელიც პირდაპირ შეეხება აქაურს სასოფლო ხელობა-მოსაქმეობას, მიწის შემუშავებას, ღვინის კეთებას, ბაღოსნობას, აბრეშუმის მოვლას და სხვ. ამისათვის საშუალების უქონლობისა და უცოდინარობის გამო სოფლის მკვიდრნი ქალაქებს ეტანებიან, რომ ეგებ როგორმე განაკარგონ თავისი შევიწროებული მდგომარეობა. ამ უკანასკნელს ხანებში საშინლად გავრცელდა ქვემო იმერეთში, განსაკუთრებით დ. ხონში და მახლობელ სოფლებში, ეგრედ წოდებული „ბათუმური ცივილიზაცია“.

წინად იმერლები ტფილისში გადიოდნენ მრავლად და იქ ბაღოსნობას ვენახის მოვლას და სხვ. გვარს საქმობას ეჩვეოდნენ, ეხლა-კი უფრო ბათუმში მიეჩქარებიან, ზოგი სავაჭროდ, უფრო ბევრი-კი სამუშაოდ. მერე გათამამებულნი სხვა შავის ზღვის პირად მდებარე ქალაქებშიაც გადადიან და იქ ზოგიერთნი მთელის წლობით რჩებიან. ამ ნაირად ხალხი სტოვებს სოფელს, შინაურს საქმიანობას, ცოლ-შვილს და მამა-პაპეულობას, ქალაქებში ბრძოლა არსებობისათვის უფრო ადვილიაო და მხიარულის გულით ჰკიდებენ ხელს თავის ახალს საქმეს. ბათუმი, ფოთი, ნოვოროსიისკი, ქერჩი, სევასტოპოლი და ოდესა სავსე არის ჩვენებურის მუშებით. მარტო ოდესაში შარშან ოთხასამდე ჩვენებური მუშა იყო. წელს-კი უფრო მეტია, სამოცამდე კაცი გუშინ-წინ გაემგზავრა ხონიდგან ოდესაში. ყოველ თვეობით ემატება ამ რიცხვს. წასვლით-კი მიდიან, მაგრამ ვიკითხოთ, რა შედეგი აქვს ამ წასვლას. წასვლა სხვა ქვეყანაში მაშინ არის კარგი, როდესაც კაცს შინაური საქმეები კარგადა აქვს მოწყობილი და თავის თავსაც თუ არას შეძენს, არაფრით არ აზარალებს ამ წასვლით. ჩვენი იმერელი-კი ცოლ-შვილს მშიერ-მწყურვალეს სტოვებს, ადგილ-მამულს შეუმუშავებლად აგდებს, სოფლურს ხელოსნებას ივიწყებს და ვითომ-და განათლების მისაღებად მიდის ქალაქში, მაგრამ მისდა საუბედუროდ ამ ნაირი გამბედაობა ბევრს მათგანს დიდს ზარალს აძლევს, უმწარებს წუთის-სოფელს და უმძიმებს უმისოდაც უკიდურესს მდგომარეობას. ქალაქში გასული იმერელი ხშირად უნამუსო ხალხს უახლოვდება, ეჩვევა ლოთობას, უზნეო საქციელს და სხვა „ქალაქის სიმშვენიერეს“ და ამ ნაირად იფუჭებს თავს ხასიათს. სცხოვრობს მოუთავსებელს, ამშორებულსა და ბინძურს სადგომებში და ამის გამო სნეულდება. მერე მთელს ნაშოვარს ფულს ჰხარჯავს თავის მოსარჩენად, და აი ასე სულით დაუძლურებული, ჯანით დასუსტებული ბრუნდება თავის დამშეულს ოჯახში და უფრო მეტად უმწარებს დღეს თავის ცოლ-შვილს. ვინც-კი ჯანმრთელად დაბრუნდება სახლში, მაინც ვერაფერს გახდება, რადგან ჩამოტანილს ორიოდე გროშს მალე ჰხარჯავს მეზობელთან და ნათესავთან დროს გატარებაში და, თვით გარყვნილი ზნეობით, ცუდს ზნეობას ავრცელებს მახლობელთ შორის. ერთის სიტყვით გარეთ გასვლა თუ ბევრისთვის კარგია და სასარგებლო, ბევრს, ძალიან ბევრს კისერსაც მოსტეხს ხოლმე.

ბათუმიდამ და ზოგიერთ სხვა ქალაქებიდამაც ჩამოტანილი „ცივილიზაცია“ და განათლება დიდს სიკეთეს არას გვიმატებს. იმერლებს მაინც აწუხებს სილარიბე და ნაკლებულობა, უსწავლელობა და უცოდინარობა. ან-კი სად უნდა ახსოვდეს კაცს გონება, სული, როდესაც საყოველდღეო ლუკმა პურის შოვნაართმევს კაცს მთელს დროს, მთელს მოცალეობას. ამით აიხსნება გაუღვიძებლობა ჩვენში საზოგადო აზრისა, საზოგადო მოღვაწეობისა და ქველ მოქმედობისა. ყველა თავის თავზე ჰფიქრობს, ყველა სცდილობს საკუთარი საქმეები როგორმე ვაი-ვაგლახით აწარმოოს და თავისი კეთილდღეობა ცოტაოდნად მაინც გაავარგისოს. ამითივე აიხსნება ის გარემოებაც, რომ საქართველოს საზოგადო ცხოვრებაში იმერეთი მეტად დაქვეითებულია და რიგიანს სამსახურს

---

ლოს ეღარ მოითმინა... არა, ძმაო, არ გიჯავრდები. როდის გაგჯავრებივარ?!. უთხრა ნიკომ ძლივს სულის მობრუნებით და რომ შეამჩნია, გიგლა გაოცებით შესცქეროდა წუნწკლებს, რომელიც ძირს დასდიოდა, უარესად წასკდა სიცილი.

ნიკომ პორტმანიდამ ამოიღო რამდენიმე მანეთი და გიგლას გაუწოდა:

— აჰა, გამომართვი, ჩოხა-შარვალი იყიდე... უთხრა სიცილით ნიკომ.

გიგლას სახემ გაუღიმა. ფული მორცხვად გამოართვა და მხიარულად გავარდა გარედ.

ლათო და მაია უფრო იმიტომ იცინოდნენ, რომ ნიკო იცინოდა... ლათოს გულით უხაროდა ნიკოს სიცილი. მაია-კი ჰფიქრობდა: ბატონი მხიარულად არის და ხვალამდის დამითხოვსო.

— დაჰხედეთ ერთი, დაჰხედეთ ლათოს, რა რიგად გამოპრანჭულა, უთხრა ხუმრობით ნიკომ, როდესაც სიცილი გადაუვარდა: რაღას აგვიანებთ, რატომ არ მიდიხართ? მე ასე მეგონა, აქამდის კიდეც მოხვიდოდით-მეთქი.

— იმას მოგახსენებდით, შენი ჭირიმე, თუ თქვენი ნებაც იქნება, ხვალამდის დამითხოვეთ. ჩემს მაგიერად, რაც დაგჭირდებათ, ბუზალაანთ კატო დამპირდა...

— რას მეუბნები, მაია. განა არ იცი, რომ მე შენი დამშლელი არა ვარ!

— ღმერთმა გაცოცხლოს, შენი ჭირიმე. წავიდეთ, გოგო, ნულარ დავაგვიანებთ! მიუბრუნდა ლათოს.

— წადით, წადით! კარგა იმხიარულეთ! ლათო არავინ მოგტაცოს! დაუმატა სიცილი ნიკომ.

— რა, შენი ჭირიმე, ძლივს დავიყოლიე. სულელი, არ მოდიოდა.

— ხელ-ფეხი შეუკარი და ისე წაიყვანე, თუ ნებით არ წამოგყვეს.

ლათო ღიმილით გაჰყვა დედაკაცს, მაგრამ პატარა რომ გაიარეს, ლათომ სახე მოიღრუბლა და შეჩერდა.

— წამო, გოგო, რას გაჩერდი? უთხრა მაია დედაკაცმა.

— არ მინდა! რომ მომკლა, არ წამოვალ, უთხრა გულ მოსულობით ლათომ.

— რამ მოგკიარა, გოგო! ჩაიცვი, დაიხურე და ეხლა ამბობ, არ წამოვალო?!

— არ მინდა-მეთქი, ახლა.

— რა ამბავია, რა? იკითხა მეორე ოთახიდგან ნიკომ და წამოვიდა.

— წამო, გოგო. ბატონმა არ გაიგოს, უთხრა ჩურჩულით მაიამ.

— რა მინდაო! რას აჯავრებ მაია? ჰკითხა ნიკომ.

— რა ვიცი, ბატონო, რაღაც ხუშტურმა მოუარბინა, არ წამოვალო.

— რატომაო, რა არის მიზეზი? ჩააცივდა ნიკო.

— რა არის და ი ბიჭს არ უნდა დაენახოს, უპასუხა მეორე ოთახიდგან გიგლამ.

ლათოს თვალებზე ცრემლი მოადგა და მეორე ოთახში გავიდა.

— ვინ ბიჭსაო, რას ამბობ, იკითხა მხიარულის უდარდელობით ნიკომ.

— რა მოგახსენოთ, შენი ჭირიმე, ერთი მეზობელი ბიჭი თხოულობს... იხვეწება.

— მერე, იქნება ლათოს არ უნდა?

— რატომ არ უნდა, გენაცვალე. ვარსკვლავივით ბიჭია.

— ლათოს უნახავს?

— თქვენი რისხვა არა მაქვს, ვერ მოვახერხეთ, ვერ შევახვედრეთ.

— მაშ, შენ ამბობ, კარგი ბიჭიაო?! ლათო, ლათო! შენ რაღას იტყვი? დაუძახა ნიკომ და სიცილით იმ ოთახში გავიდა, საცა ლათო იყო.

ლათო ჯერ კიდევ თვალ ცრემლიანი იყო.

— აწირებული ხარ შენცა, ადამიანო, გაეხუმრა ნიკო მაიას! ქალს ათხოვებ და არც ბატონს ჰკითხავ და არც ქალსა! ჯერ დაგვანახვე ვინ არის. თუ მეც მომეწონა და ლათოსაც, მაშინ უყურე, რა ქორწილი გადავიხადოთ! ასე არ არის, ლათო! უჩემოდ ხომ არ გათხოვდები, განა?

ლათოს მორცხვად გაეღიმა და თავი გაიქნია.

— აჰა, თუ მართალს არ ვამბობ! განაგრძო ნიკომ: გათხოვება ვის არ უნდა! არა, ლათო? რას გეცინება, ტყუილს ვამბობ თუ! მაშ მეც წამოვიდე? ერთად გავსინჯოთ ის ვიღაც ვარსკვლავივით ბიჭია. აი ამ წამსვე. თქვენ მე ნუ მომიცდით.

ლათოს ნიკოს სიტყვებზე სიცილი მოსდიოდა, მაგრამ მორცხვობით თავს იმაგრებდა. მაიაც ღიმილით შესცქეროდა ლათოს და ათას ნაირად ანიშნებდა, მალე წავიდეთო.

— მაია, იცოდე, თუ ის ვიღაც ოხერი ახლო მომეკარა, პირში შევაფურთხებ, უთხრა გაჯავრებით ლათომ.

— შეაფურთხებ და აბა მაშინ მოგიტაცებს, თვალებიც დაგდგომია! უპასუხა მაიამ და ორთავენი დღეობის გზას დაადგნენ.

პავლიკო ყიფიანი

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ უწევს სამშობლოს წარმატების საქმეს. ძვირად მოიპოვება ჩვენში კაცი აღჭურვილი საზოგადო მოღვაწეობის განუზომელის სიყვარულით და მზრუნველი თანამემამულეთა დაცემულ მდგომარეობის აღსადგენად. იშვიათად შეხვდებით ჩვენში იმისთანა კაცს, რომელიც ენერგიულად ეპყრობოდეს თავის მოვალეობას მოყვასთა წინაშე და გულის სიმართლით მოქმედობდეს ხეირიან საქმისათვის.

ჩვენს დ. ხონში საკმაოდ არიან უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულნიცა და ისინიც, რომელთაც ინტელლიგენტები ეწოდებათ, მაგრამ რა ნაირად ვასრულებთ ჩვენს კაცობრივს დანიშნულებას? ნუ-ღარ იკითხავთ! თითქო ეშმაკი გვიდგეს წინ და არ გვიშვებდეს კეთილ გზაზე! ყველანი უკან ვიხევით, ყველას თავის წამოწევა ქეც გვეშინიან, ქეც გვერიდება, და თუ ვინმე წამოსდგამს ფეხს წინ, ყველანი ვაჩერებთ და ვაბრუნებთ უკან. თქვენი მეცადინეობა, ვეუბნებით, იცოდეთ, ამაოდ ჩაივლისო, თქვენს განზრახვას არავითარი შედეგი არ ექმნებაო, სჯობს თავი დაანებოთ და გაჩუმდეთო. მაგრამ საფუძვლიანია ამ გვარი ჩვენი რჩევა? განა ამ ნაირად უნდა ვექცეოდეთ კეთილის მსურველს კაცს? არა, ჩვენ გვმართებს ყოველს კეთილს საქმეში ერთი მეორეს ხელის მომართვა, ყველანი ერთად უნდა ვეტანებოდეთ ერთს სანატრს და მის შესრულებისათვის არ ვიშურებდეთ არავითარს ღონისძიებას, არავითარს გარჯას...

ნუ თუ არ შეგვიძლიან ჩვენც თანაგრძნობა და შეწევნა აღმოვუჩინოთ, მაგალითად, წინამძღვარიანთ-კარის სკოლას, რომლის უპირველესი დანიშნულება ხალხის ეკონომიურის მდგომარეობის განკეთილებაა? ნუ თუ არ შეგვიძლიან ჩვენდა შესაფერი წვლილი შევიტანოთ იმ ფონდის სასარგებლოდ, რომელიც არსდება ეხლა გარდაცვალებულის ჩვენის გამოჩენილის ისტორიკოსისა და ჭეშმარიტის საზოგადო მოღვაწის დ. ზ. ბაქრაძის ხსენების დასამკვიდრებლად? შეგვიძლიან, თუ კი მოვინდომებთ და ვიმეცადინებთ...

ბოლოს არ შემიძლია ორიოდე სიტყვა არ ვუთხრა ხონის ინტელიგენციას. ბატონებო და მეგობრებო! იმედი მაქვს გულ დაწყნარებით დაუკვირდებით ჩემს გულ წრფელს სიტყვებს და თქვენდა საკადრისად განსჯით. გვეყოფა ამდენი სიჩუმე, გვეყოფა ამდენი უმოქმედობა. რადა დროს გულ-გრილობაა ეხლა, როდესაც თითოეულის კაცის მოღვაწეობას შეუძლია გაუწიოს სამშობლოს რიგიანი სამსახური! დრო არის გამოვფხიზლდეთ, ვიგრძნოთ ჩვენი ამ ქვეყანად მოვლენის დანიშნულება და ზნეობრივი მოვალეობა ღვთისა და კაცის წინაშე, ვიქონიოთ სახეში განუზომელივ მამულის წარმატება და ჩვენის ერის მდგომარეობის განკარგება, მივიღოთ მხნე მონაწილეობა საქართველოს საზოგადო ცხოვრების წარმატებასა და წინ-სვლაში. ამით ჩვენ შეგვიძლია წინ წავწიოთ სხვადა-სხვა გარემოებისა და დროთა ვითარების გამო დაცემული იმერლობაც და კეთილი ნაყოფი კეთილად ნათესისა, თუ ჩვენ არა, ჩვენთა შვილთ მაინც მოიმკონ.

მიხეილ საღარაძე

## წერილი რედაქციის მიმართ

ვისაც კი გაუგონია დიმიტრი ბაქრაძის სახელი, ყველას მეტად დასწყვიტა გული იმისმა დაკლებამ. ამასთანა დასაკლისი ჩვენის საქართველოსათვის მართლა რომ ძალიან დიდი უბედურებაა, რადგანაც დ. ბაქრაძე მტკიცედ ადგა საქართველოს წარსულის ცხოვრების გამოკვლევას და შეეძლო უკანასკნელი ერთი ათ წელიწადს კიდევ მაინც ემუშავნა ქვეყნისა და განსაკუთრებით თავის სამშობლოსათვის. ღმერთმა დაგვიფაროს სასოწარკვეთილებისაგან, მაგრამ დიმიტრისთანა მშრომელი, აღმასრულებელი თავის აზრისა სულ მცირედის საშუალებით ეხლანდელს ჩვენს ნასწავლ საზოგადოებაში იშვიათად გამოვა. არც მეცნიერების შენაში, აგრეთვე არც რომელსამე შრომის დამთავრებაში ჩვენი ქართველი საზოგადოება დიმიტრის თითქმის არაფრით არ შესწევნია. ღმერთმა რა უყოს უქონლობას, თორემ დიმიტრი განა აქამდის ვერ გამოსცემდა იმ მშვენიერს სხვა და-სხვა ნაირ ძველს მხატრობისა და შენობის დანაშთენის სურათებს, რომლებიც მე იმან მაჩვენა ამ ექვსის წლის წინეთ შემზადებული გამოსაცემად, მაგრამ ალბად სამძიმოთ დაურჩა გამოცემა უქონლობისა გამო! ამ ორმან-წინ მე თითონ ქუთაისში მოვაგონე განსვენებულ დიმიტრის, თუ როდის აპირებს ზემოხსენებულის სურათების გამოცემას. ამის პასუხი ეს მომცა, რომ, მეც მალე მინდა როგორმე გამოვცე, მაგრამ ჯერ ვერ ვახერხებო. ამ სიტყვებით მაინც და მაინც სამდურავი არაფერი არ შემიმჩნევია და მგონია ხასიათადაც არა ჰქონდა განსვენებულს დიმიტრის ან საზოგადოებას და ან განსაკუთრებით ვისმე დამდურებიყო რაშიმე, თუმცა, რასაკვირველია, ასე არ იჩიოლებდა მოუხერხებლობას, რომ ჰქონებოდა ვისგანმე იმედი შემწეობისა ხსენებულ სურათების გამოცემაში. ეს ხომ ცხადია ეხლა, რომ სიცოცხლის დროს განსვენებულ დიმიტრი ბაქრაძეს ვერაფერს ვერ დავაყვედრებდით, იყო თავისათვის კუთხეში მიმჯდარი და მუშაობდა რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იმისას არც ავს და არც კარგს არ ვკითხულობდით. მაშ ეხლა მაინც გვმართებს, განსაკუთრებით ქართველობას, გადავუხადოთ რითიმე განსვენებულ დიმიტრი ბაქრაძეს სიკეთე, რომელიც იმან ჩვენის სამშობლოსათვის დასთესა სიცოცხლის დროს. დიდის სიამოვნებით თანავუგრძნობ იაკობ გოგებაშვილის აზრს, რომელიც შემდეგ განმარტა მღვდელ-მონოზანმა ლეონიდმა „ივერიაში“ შესახებ ძეგლის აშენებისა დიმიტრი ბაქრაძის საფლავზედ, თხზულების შეკრებისა და გამოცემისა და იმის, დიმიტრის, სახელზედ უნივერსიტეტში სტიპენდიის დაწესებისა, ხოლო ამ კეთილ საქმეებთან ისიც არ უნდა იყოს, ჩემის აზრით, დავიწყებული, რომ ბრონძის ჩამოსხმული სახე დიმიტრი ბაქრაძისა აღიმართოს საეკკლესიო არხეოლოგიურს მუზეუმში, იმ ნაირი, როგორიც აღუმართეს ბროსეს. 14 თებერვალს პირველ შეწირულის წირვის შემდეგ მოვისმინეთ პანაშვიდი მთელმა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა იმავე სასწავლებლის ეკკლესიაში, ახლად გარდაცვალებულ დიმიტრი ბაქრაძისათვის შეკვეთილი. ზოგიერთმა მასწავლებელმა გამოაცხადა სურვილი დიმიტრი ბაქრაძის ფონდის სასარგებლოდ შემოეწირნა, ვისაგანაც რამდენი იქმნა შემოწირული, ამასთანავე ვგზავნი რედაქციაში შემდეგის სიით: ნიკ. გ. ტატიშვილი 3 მან. 50 კაპ., ე. ვ. ლამბაშიძე 1 მან., ა. დ. სულაკველიძე 1 მან., ს. პ. გორდუმაძე 1 მან., ნ. რ. მალრაძე 1 მან., ი. დ. გაფრინდაშვილი 1 მან., რაფ. ხუნდაძე 1 მან., მ. მ. ცაგარეიშვილი 1 მან., პ. გ. კვიცარიძე 1 მან., ა. ვ. გორგაძე 1 მან., გ. ხანთაძე 50 კაპ., ი. პ. ობოლენსკი 50 კაპ., ი. გეორგაძე 1 მან., დ. ი. ჩიმაკაძე 1 მან., მ. რ. კვალიაშვილი 1 მან., იოსა შარაშიძე 1 მან., ს. ა. მატარაძე 50 კაპ., კომ. ე. მახვილაძე 1 მან., მ. ფ. ფხაკაძე 2 მან. სულ შეგროვდა 21 მან.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი

ნ. გ. ტატიშვილი

## სურათი ხალხის ცხოვრებიდგან.

სოფელში მივდიოდი. დაბა №-ში ჩალანდრის ცხენი ვიქირავე. პატარა რომ გავიარეთ, ჩალანდარს საუზმე მოუნდა და მთხოვა, ჩამობძანდითო, ცხენს ბალახი ვაჭამოთ, ცოდვაა, წუხანდელი ღამე მშიერი იყოო, და ჩვენც ღვინო დავლიოთო. ცხენიდგან გადმოვხტი, მინდორზე ნაბადი დავიგე და მოვიკეცე. ჩალანდარმა ცხენს ხურჯინი ჩამოხსნა, მოიტანა და მაშინვე ამოალაგა მჭადის ნატეხები, სამიოდე თავი პრასა და ბოლოს ერთი დოქი ღვინო. მეც ჩემის ხურჯინიდგან ორი თეთრის პური და ორი კოლოფი სარდინკა ამოვიღე. ჩალანდარს ვუთავაზე ერთი პური და ერთი კოლოფი სარდინკა. იმან პურისათვის დიდი მადლობა მითხრა, მაგრამ სარდინკა არ მიიღო. „როგორ იქნება, არკი წავწყდებიო!“, მიპასუხა, ამ სიტყვებზედ თავი გაიქნია და გულ-მოსულად ჯერ ერთ პრასს მოკვეთა თავი და მერე მეორესა. შემდეგ კულა ხარბად მიიყუდა ტუჩებზედ. სასიცილო სანახავი იყო ამ დროს ჩემი ახარებული თანამგზავრი. თავი უკან გადაგდო, ნახევრად გახელებულ თვალებით ცაში თითქო რაღასაც ათვალიერებდა და ხანდახან, როგორც მოსიყვარულე დედა თავის ძუძუ-მწოვარს ბავშვს, ისე ტკბილად და ალერსიანად დასჩერებოდა სოლმე კულას. კულის რაკრაკს ბანს ეუბნებოდა მაღალ ყელის ულურწუნიც. კულას ძალიელად სწრუპავდა, ენას წლაკუნი გაჰქონდა და მთელს პირის სახეზე განუსაზღვრელი სიტკბოება ესატებოდა. ამ დროს ქვეყანაზე აღარაფერი ახსოვდა და სრულს ნეტარებაში იყო. რადგანაც ღვინო ცოტა ჰქონდა, იზოგავდა და ნელ-ნელა სწრუპავდა, რომ გემოვნება დიდხანს ეგრძნობოდს, რამდენსამე წუთს შემდეგ, გაათავა და ცივს მჭადს მიჰყო ხელი, თუმცა ცალის თვალით ჩემკენ გადმოიხედა.

— ძალიან გემრიელია? მკითხა.

— ამაზე უტკბესს შენს დღეში ვერაფერს შესჭამ მეთქი, ვუპასუხე და მივიპატიჟე ხელ მეორედ

— მერე რომ წავწყდე?

— შენი ცოდვა ჩემს კისერზე იყოს.

— ჰმ! რა თქვი, ჩემი ცოდვა მე მქონდეს, რაოა, ღმერთმა ნუ ქნას!“ და ამ სიტყვებზე, თვალიც ვერ მოვასწარი, უცბად დაავლო ხელი მეორე კოლოფს და თევზი ერთს წუთზე შესანსლა. როცა გაათავა, შევატყე, რომ სასეზე სინანული გამოესახა, და მართლაც შეშინებულის ხმით შემომჩივლა: „შენი ჭირიმე, ნურსად გამამხელ და მღვდელთან მაინც არამცა და არამც არა წამოგცდეს რაო“. მაშინ დავარწმუნე, თუ რა ადვილი მოსატყუებელი და შესაცდენელია ხამი და ცრუ მორწმუნე გლეხი. მაგრამ ამ ხამს გლეხს მაინც ჰქონია თურმე თავისი რწმუნება, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, თავისი ფილოსოფია.

ცოტა ხანს იქით გზას გავუდექით და მალე წამოგვეწია მეორე ჩალანდარი. როცა ერთმანეთი მოიკითხეს, მეორე ჩალანდარმა დიდ-მარხვაზე ჩამოუგდო ლაპარაკი და ამბობდა, რომ ვინც ახლა მარხვას სჭამს, ძმაო ის ქრისტიანი არ არის, ურჯულოაო.

ჩემი ჩალანდარი სინიდისმა ამხილა: ფერი ეცვალა, ენა ჩაუვარდა და ხმა ვეღარ ამოიღო. მაგრამ მეორე ჩალანდარი ისევ თავის ფილოსოფიას მიუბრუნდა და ასე განაგრძო: „თათარიც გააჩინა ღმერთმა, ლეკიც, ურიაც, მაგრამ ურია და თათარი ჭყარს და შენ, ძმაო, განათლებული კაცი ხარ“, ეუბნებოდა ჩემს ენა-ჩავარდნილს ჩალანდარს.

ბოლოს, როგორც იყო, ჩემმა ჩალანდარმაც ენა ამოიდგა და ეს და მოახსენა.

— ბაყაყიც გააჩინა, ძმაო, ღმერთმა, გველიც, სვლიკიც, მაგრამ უნასია, უნასიო“. ამით დაბოლოვეს დიდ-მარხვაზე ლაპარაკი და მერე ისევ თავისს სევდა-დარდზე დაიწყეს მუსაიფი.

## აღწერა წერა-კითხვის საზოგადოების ხელ-ნაწერთა *).

გინა სამსა მას გინა ოთხსა მეხეით (sic), სადა მივიდეს რიცხვ ღვსებითგან, ეგოდენისა მარტისა, იანვრისა და აპრილისა, ფებერვლისა სწორ რიცხუ ყავ (ყ̃ვ), და მიერ დღითგან შვდ დღე ყუსლიერობდი.

ასაკრებთათჳს. იანვრ — [მარ]ტისა ანაკრები არა რა, ფებერვალ აპრილისა, —ამათი,—ერთ ერთ, და მაისისა ორ, ივნისისა და ივლის—ოთხ, აგვისტოს ხუთ, სეკტემბერ ოკტომბრისა—შვდშვდ, ხოლო არს ცხრა-ცხრა ნოემბერ-დეკტემბრისა.

დღის საძიებელთა. უქმ-დღის (ოკვ-დღის) საძიებელთჳს: იანვარ-ოკტომბერ, ხოლო მქონ სამ-სამის, ფებერვალ მარტ-ნოემბრისა, აპრილ ივლის —ექვს-ექვს, სეკტემბერ-დეკემბრისა ხუთ-ხუთი, მაისისა — ერთ. უწყოდე ივნისისა ოთხ, აგვისტოსსა ორ, და სადაც გეხმაროს, დაჰრთევიდ. მოძევისათჳს დიდისა მცხრილისა. მარტ აპრილისა მცხრილთანა ნიადაგ დართევიდ მარტსა ათ-ერთმეტ და აპრილსა ათ ოთხმეტ, და მის წლის მზასა მოქცევასა ზედა მისნი ნაკნი დაჰრთენ, და ოთხ-ოთხ წილსა მისსა ერთ-ერთ და შვიდეულ ჰყავ. ხოლო შვდ-შვდი და ოდენ ქმნული ესე ყოველი ცხრომის დღესა ერთით კვირიაკესა და მასთ შემდგომთა შაბათამდე გაუწყებ და ცხრომის დღით გან მით თავით აღეპებაჲ ჰპოო. უკეთუ მარხვასა დადგენასა ეძიებდე ზეპირით იპყარ... ამას შემდეგ დედანს აკლია.

ამ ხელ ნაწერში სხვათა შორის საყურადღებოა ზნეობრივი სწავლა-მოძღვრებანი და აფორიზმები, რომლებსაც თავი აკლია და დანარჩენი აქ მოგვყავს სრულად:

...... ეის გასთავებიაო.

ბატონს ნუ ეფერები, ნურცა ტყუვილით ეჩვენები (ეჩ̃ნ̃ბი), თვარამ ცოდვასა შინა ჩავარდები. ვინცა ბატონს ატყუებს, ღმერთსა ატყუებს და ებრძვს.

კაცმწიფის ვეზირობას ხუთი ვეზირი უნდა: ერთი უქრთამო და მართალის მთქმელი, მეორე მჭიგნობარი, ჰკუიანი და ღვთის მოშიში, მესამე აქიმი, მართალი და უჩიუბარი, მეოთხე მისანდო და თავადი (თ̃ადი) კარგი, მეხუთე განმაცხრე კაცთა, თავდაბალი, და მას მიახვენებდეს: კაცთა ნუ რაას შესცოდებო, მტერსა ოდეს მოერიო, ღმერთი მაშინ მოიგონეო, შენსა სიტყვასა ნუ გააბრუნებო, წყალსა ნუ ებრძვიო, შენს ყმას უსამართლოდ მამულს ნუ წაართმევო, და ნურცა ნასყიდს მოუშლიო, ფიცის მოშლა იქნების და ღმერთი გაწყენსო, უცხოსა ტკბილად მოეპყარო, ტყუილის თქმა შეჭირვებისაგან იქმნებისო.

ე. თ—ლი

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“ № 46.

## წვრილი ამბები

„Berliner Tagebl.“-ი ამბობს, რომ ბისმარკის მეგობრები დიდად გაოცებულნი არიან, ვილჰელმ მეორემ როგორ უარ-ჰყო ანდერძი თავისის პაპისა, რომელმაც, ბისმარკს რომ თანამდებობიდგან გამოსვლა უნდოდა, ასე მიუგო, „არასოდესო“. რასაკვირველია, ფიქრადაც არ მოუვიდოდათ, თუ იმპერატორი თავის შესანიშნავს მუქარას, „ვინც ჩემს საქმეში წინ გადამეღობება, გავანადგურებო“, ბისმარკზე ამოიყრიდაო.

— „Freisinnige Zeit.“-ი ამბობს, რომ ბისმარკის დათხოვნის მიზეზი ის არის, რომ იგი წინააღმდეგი იყო იმპერატორისა როგორც საგარეო, აგრეთვე შინაგანს პოლიტიკაშიო.

— გაზეთები ლაპარაკობენ, რომ იმპერატორს ისეთი სიმძლავრე არ ემჩნევა თავისუფალ მოაზრეთა დასისა, როგორც ბისმარკსაო. ამას სხვათა შორის ისიც ამტკიცებს, რომ ბევრი თავისუფალ მოაზრეთა დეპუტატი მიიწვია სასახლეში. კლერიკალების დასის წინამძღოლს ბარონ შორლემერ-ალსტს თავის ამომრჩეველებისთვის სხვათა შორის აი რა უთქვამს სოციალისტების წინააღმდეგ: სოციალისტების აზრები და სურვილნი საშიშია საკუთრებისა, ტახტისა, მამულისა, საზოგადოებისა და საკუთრებისათვის და ვისაც-კი ქრისტიანობა და პოლიტიკური წეს-წყობილება უყვარს, ვალდებულია სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოსო.

— სოციალისტების წინააღმდეგვე წარმოსთქვა სიტყვა პასტორმა შტეკერმა, რომელიც ამტკიცებდა, რომ მხოლოდ მონარქის შეუძლიან სოციალური საქმე გადასწყვიტოსო. ამავე დროს პროფესორმა ადოლფ ვაგნერმა უსიამოვნება მოუხდა ანტისემიტ ლიბერმანთან. ვაგნერი ამბობდა, რომ ხალხის უბედურების მიზეზი კაპიტალისტური წარმოებააო და ლიბერმანი-კი ამტკიცებდა, რომ ყველაფერი ურიების ბრალიაო.

— ამას წინად გოკარდენის დარბაზში გლადსტონი ემუსაიფებოდა ერთს თავის მეგობარს, სხვათა შორის, ფრენოლოგიის შესახებაც. „ფრენოლოგებისათვის მე მეტად საინტერესო გამოსაკვლევი ვიქნებოდიო, სთქვა თურმე გლადსტონმა: მთელი ოცი წელიწადია მას აქეთ, რაც მე თავი თანდათან მიდიდდება და უნდა ვსთქვა, რომ, ცოტა არ იყოს, ეს გარემოება მაწუხებს, რადგანაც ამ ნაირი მოვლენა ჯერ არსად გამიგონია. ახლავე დაგიმტკიცებთ ჩემის სიტყვების სიმართლეს“. ეს რომ სთქვა, გლადსტონი ადგა თურმე, ოთახიდგან გავიდა და [illegible] მეგობრის [illegible] ქუდი. „ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუდს ოცის წლის წინად ვისურავდი ხოლმე ყოველს დღესასწაულზე. მაშინ დიდი მომდიოდა და ახლა-კი, როგორც ჰხედავთ, შიგ თავი აღარც-კი მეტევაო“.

— „Figaro“-ს სიტყვით, საფრანგეთში 1889 წელს 14,849 სამეცნიერო და სიტყვა-კაზმული თხზულება და ნაწერი გამოსულა და სამუსიკო თხზულებაც 5,574. ისეთი ვინმე რომ გამოჩენილიყო და მოენდომებინა ყველა ახალ თხზულების წაკითხვა საფრანგეთში, მაშინ ყოველ დღე ორმოც-ორმოცი ტომი უნდა გადაეკითხაო. გაზეთი ამბობს, რომ მარტო ის არა კმარა ვიცოდეთ, რამდენი წიგნი ან თხზულება გამოდის, და სტატისტიკა კარგს იზამდა, რომ იმისი სიაც შეედგინა, რამდენს კითხულობენო.

— საფრანგეთის პსიხოლოგოსი რიბო ამტკიცებს, რომ «ყურადღება» დამოკიდებულია ფიზიკურ აგებულებაზედ და ყოვლად შეუძლებელია კაცმა თავის ნებით გაიღვიძოს გრძნობა ყურადღებისაო. აქედგან სჩანს, რამდენად მართალნი არიან ის მასწავლებელნი, რომელნიც შეგირდებს ემდურიან, ყურადღებონი ხართო.

— „Наука и Жизнь“-ი სწერს: სიმინდის ზეთზე ამბობენ, რომ მოსალოდნელია ზეითუნის ზეთი სრულიად განდევნოს ხმარებისაგან. რვა წილი სიმინდის მარცვლისა ერთს წილს მშვენიერს, წმინდასა და გემრიელს ყვითელს ზეთს იძლევა.

— სტატისტიკოსთა გამოკვლევით, 1852 წლიდგან 1888 წლამდე ომში დახოცილთა რიცხვი შეადგენს 2.252,000. ამ რიცხვში ისინი არ არიან მოქცეულნი, რომელნიც ჭრილობისაგან დაიხოცნენ და აგრეთვე იმ სხვა-და-სხვა სენისაგან, ომის დროს რომ ჩვეულებრივ გაჩნდება ხოლმე ჯარშიო.

— „Gaulous“-ი ამბობს, რომ ყოველ წელიწადს ლონდონსა და ამერიკაში გამოდის ხოლმე გასასყიდად ერთის ინგლისელ ვარსკვლავთ-მრიცხველის წიგნაკი, რომელშიაც მოყვანილია იმ წლის წინასწარმეტყველებანიო. აი ეხლაც გამოვიდა ერთი ამისთანა წიგნაკი, რომელშიაც, სხვათა შორის, ვარსკლავთ-მრიცხველი გვიწინასწარმეტყველებს, რომ ამ 1890 წლის მარტის თვეში ჩინეთს ომი და ბრძოლა მოუხდებაო, აპრილში გერმანიის იმპერატორი შეიქმნება ავად, მაისში იტალიის მეფე დიდს განსაცდელს გამოივლის, აგვისტოში— განსაცდელის შიში მოელის ავსტრიის იმპერიას, სექტემბერში—ოსმალეთის სულთანს სიკვდილისა და ტახტის დაკარგვის შიში მოელის, ნოემბერში—დიდი ცვლილება და ბრძოლა იქნება ევროპაში, ხოლო დეკემბერში ინგლისს საეროვლოვისა და ზარის შიში მოელის, პარიჟს-კი ახალი საპოლიტიკო უთანხმოებაო და აურზაური. საკვირველი ის არის, რომ ამ წიგნაკში წარსულს წელს ნაწინასწარმეტყველევი იყო: ამ წლის თებერვალში პარიჟის გრაფი დიდს განსაცდელს გამოივლისო.

## დეპეშა

14 მარტი

პეტერბურგი. „Нов. Время“ იუწყება, რომ სახელმწიფო საბჭომ შეუცვლელად დაამტკიცა პროექტი სათემო მმართველობათა და სათავად აზნაურო ცვლილებათა იმიერ ბალტიის მხარეშიო.

ევრშავის კონსისტორიასა ღ იმიერ ბალტიის საგენერალ-სუპერინტენდენტო კანცელარიას ებრძანა, რომ თქვენი საქმენი განსაკუთრებით მხოლოდ რუსულს ენაზედ აწარმოვეთ ხოლმეო.

მინისტრთა კომიტეტი ჩქარა განიხილავს შუამდგომლობას ასტრახანისა, ბაქოს და ნიჟეგოროდის საბირჟო კომიტეტებისა და აგრეთვე ნავთსნობის ხელის-შემწყობ საზოგადოებისას, რომ აღიკრძალოს დაუწმენდავის ნავთის საზღვარ-გარეთ გატანა და ნავთის-მწარმოებელთა კრების შეყრა ნიჟნი-ნოვგოროდსა და ან მოსკოვში მაშინ, როცა ნიჟეგოროდში იარმუკობააო.

აქ ამბავი მოვიდა: სპარსეთის მთავრობა ოფიციალურად დაგვპირდა, რომ რკინის გზათა გაყვანის საქმეში უპირატესობა რუსებს მიეცემათ, თუ ისინიც მოინდომებენ და ამ საქმეს იკისრებენო.

სახელმწიფო საბჭოში შეტანილია პროექტი, რომ რკინის გზებს აღეკრძალოთ შეშის ხმარება ორთქლმატარებლებისათვისაო.

15 მარტი

პეტერბურგი. დეპარტამენტი მეურნეობისა იუწყება, რომ საჩქაროდ გადასაზიდად საზღვარ-გარედ ღორისა, ანუ დამარილებულის ღორის ხორცისა დაწესებულია ცალკე მატარებლები იქ, საცა უფრო ბევრი მზადდება ღორი: გრიაზებში, ელცში, ხარკოვში, კოზლოვში და სარანიევიდამ რიგსა და ლიბავამდე. განკარგულებაა მოხდენილი, რომ რუსეთის ელჩებმა გულას, ლივერპულს, ჰამმერვესტსა და ჰამბურგს, დროზე დაბეჭდონ გაზ. «Архангельскія Губернскія Вѣдомости.»-ში, რა ფასი აქვს თევზეულობას საზღვარ-გარედ ბაზარში, საცა დადიან ზღვით ბელოგორის გემების პატრონები.

„С.-Пет. Вѣд.“-ი იუწყება, რომ ამ დღეებში სახელმწიფო საბჭო განიხილავს პროექტს, რომლითაც განზრახულია თევზის ჭერის საქმეს ბაჟი დაედოსო.

„Нов. Нрѣм.“-ია იუწყება, რომ პროექტი ცვლილებათა და დამატებათა იმ კანონ-მდებულებისა, რომელიც შეეხება მზრუნველობას წარედგინა სახელმწიფო საბჭოს დასამტკიცებლადაო.

ჩარჯუი. მალე ელიან აქ იტალიის მემკვიდრე პრინცს, რომელსაც აზრად აქვს გაიაროს რკინის გზით უზუნადადამ მთელი იმიერ-კასპიის მხარე ბუხარამდე და სამირყანდამდე. მემკვიდრე პრინც უნდა, რომ მისი ვინაობა არავინ არ გაიგოს.

ბერლინი. დილის 11 საათზედ იმპერატორმა ინახულა თავადი ბისმარკი და 3/4 საათს ელაპარაკნენ ერთმანერთს. როცა ბისმარკი მიდიოდა სასახლეში, სასახლის მეიდანზე ხალხი დახვდა და დიდის ალტაცებით მიეგება. ალტაცებითვე მიეგება თ. ბისმარკს მაშინაც, როცა სასახლიდამ გამოვიდა და წავიდა ბადენის ჰერცოგთან. დიდ-ძალი ხალხი სცდილობდა გამოეშვა ცხენები და თვით შებმულიყო კანცლერად ნამყოფის კაცის ეტლში. იმპერატორმა შეიწყნარა თხოვნა გრაფ ჰერბერტ ბისმარკისა და დაჰნიშნა კანცლერი გარეშე საქმეთა მინისტრად.

ბელგრადი. ხელის-მაწერა სერბიას სესხად ფულის მოგროვებისათვის ჩინებულად გათავდა პარიჟში.

სოფია. პანიცამ გამომძიებელთა კომისიაში გულ-ახდით ილაპარაკა უკანასკნელის შეთქმულობის შესახებ, რომელსაც აზრად ჰქონდა შერიგება ბოლგარიისა და რუსეთისა.

პეტერბურგის ბირჟა, 13 მარტი.

| | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | „ | 7 35 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | „ | 147 ¼ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 08 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | 235 | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 220 |
| —მესამისა . . . . | — „ | — „ | 217 ¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | 98 ¾ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | 98 ½ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | 87 ½ | — „ | — „ |

### ივერიის ფოსტა

ყ—ს. პ. მ—ნს. თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

სოფლელს. თქვენი „მცირე შენიშვნა“ სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო, სამწუხაროდ, ვერ დაიბეჭდება.

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყჟ (1890) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7398.

ძველი ინდიქტიონი მე-14

ახალი ქორონიკონი—უპბ=482 წელიწადია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მე-46 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1890 წლის ზედნადებია—17.

მარტი 31 დღით არის

16 დღე პარასკევი. ქართველ. წმ. მოწამისა საბიანესი. კათოლ. წმ. ლონგინოსი, ლეოკრიცისი და ლეონტინისა. სომეხ. 33 დღე დიდ-მარხვისა. მზე ამოდის 5—50. ჩადის 6—22. ჭეშმარიტი შუადღე 12—5. მთვარე 8 დღისაა.

17 დღე შაბათი. ქართველ. ღირსისა მამისა ალექსი ღვთის კაცისა. კათოლ. წმ. პატრიცი, იულინა და გილიარისა. სომეხ. 34 დღე დიდ-მარხვისა წმ. მამ. გრიგოლ. განმანათლებლისა. მზე ამოდის 5—48, ჩადის 6—23. ჭეშმარიტი შუადღე 12—5—მთვარე 9 დღისაა.

18 დღე კვირა. ქართველ. წმ. კირილე, იერუსალიმელ პატრიარქისა. კათოლ წმ. გერტრუდასი, პატრიკისა და ბოლესლავასი. სომეხ. 35 დღე დიდ-არხვისა. წმ. სებასტიას ორმეოცთა წამებულთა. მზე ამოდის 5—47, ჩადის 6—48. ჭეშმარიტი შუადღე 12—4. მთვარე 10 დღისაა.

19 დღე ორშაბათი. ქართვ. წმ. ხვრისანთე და დარიოსი. კათოლ. წმ. იოსებისა, აბრამისა და იაკობისა. სომეხ. 36 დღე დიდ-მარხვისა. მზე ამოდის 5—45, ჩადის 6—52. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. მთვარე 11 დღისაა.


## განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება
„უბის წიგნი 1890 წლისათვის“
შედგენილი და გამოცემული
ვალ. გუნიას მიერ
ფასი 40 კაპ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

## დედა ენა და ბუნების კარი

გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი ექვსი შაური.

ვინც ერთბაშად ნაღდს ფულზე იყიდის ოც-და-ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად.

ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება ორი შაური. ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს „დედა ენას“ წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ რვა კაპეიკი.

„ბუნების კარი“, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი თხუთმეტი შაური.

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალს, წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოცსა—ცამეტ შაურად და ვინც ოც-და-ათს—სამ აბაზად, ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ სამი შაური.

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности. Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ივერია

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 | თთვით . . . | 10 მ. | — კ. | 6 | თთვით . . . | 6 მ. | — კ. |
| 11 | „ . . . | 9 „ | 50 „ | 5 | „ . . . | 5 „ | 25 „ |
| 10 | „ . . . | 8 „ | 75 „ | 4 | „ . . . | 4 „ | 70 „ |
| 9 | „ . . . | 8 „ | — „ | 3 | „ . . . | 3 „ | 50 „ |
| 8 | „ . . . | 7 „ | 25 „ | 2 | „ . . . | 2 „ | 50 „ |
| 7 | „ . . . | 6 „ | 50 „ | 1 | „ . . . | 1 „ | 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

## კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ,

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Карванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.


Доз ценз. Тифлисъ. 15-го მარტა 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ Мелик д. бр. Месхіевыхъ. რედაქტორ-გამომცემელი. ილია ჭავჭავაძე